ოქმი:ო31. 3126173001
თარიღი:22/06/2026

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

17. 06. 2026 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე,

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის

წესრიგის პროექტი:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 25 ივნისი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების 1-ლი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებულ N1-ლ დანართში ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში“ უნდა შევიდეს ცვლილება და დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3, 51^3, 53^3, 55-ე, 55^3, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური, გარდა საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125^4 პუნქტის, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 239-ე მუხლის 14^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიებად

განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 18 მაისის N GOV 9 26 00016017 საკონსულტაციო დასკვნაში მითითებულია შენიშვნები აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის მიერ მომზადდა ფოტოები, რომლებზეც მითითებულია მიწის ნაკვეთის ფართობები რომლებიც უნდა განისაზღვროს საპარკინგე ადგილებად, ასევე შპს იმერეთის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებად დარეგიტრირდა მიწის ნაკვეთი ს/კ 27.06.51.423.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; ისაუბროს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცემა განმარტება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით მას უფლება აქვს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა №26).
საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4-ე მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300063255.

საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ ოქმზე ხელის მოუწერლობა და მის ჩაბარებაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს სამართალდამრღვევს პასუხისმგებლობისა და ვალდებულებებისაგან.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში უნდა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. სათაურის კორექტირება;

2. ზონირების გაუქმება;

3. ტროტუარების ამოღება;

4. სპეციალური დაცული სადგომის მდებარეობის და საფასურის განსაზღვრა.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიებად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. 2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2026 წლის 5 მარტის N481 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 6051160 (ექვსი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ას სამოცი) ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 318485 (სამას თვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარი. სულ, განსახორციელებელი პროექტების მთლიანი ღირებულება (მიმდინარე წელს დასაფინანსებელი) 6369645 (ექვსი მილიონ სამას სამოცდაცხრა ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარი; მათ შორის:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის, ქალაქის და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია-1868350 ლარი, აქედან, სახლემწიფო ბიუჯეტით დაფინანსედება-1774332 ლარი.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზის რეაბილიტაცია, შუხუთის და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხების მოწყობა-2105264 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება-2000 000 ლარი.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის, ჩოჩხათის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია-2105264 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება- 2 000 000 ლარი.

- ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-290767 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება-276228 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 19 მარტის N580 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 2250000 (ორი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სოფლად დაინგრა ან არ ექვემდებარება აღდგენას) კომპესაციის გაცემის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N620 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 20000 (ოცი ათასი) ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და მიიმართება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის

დასაფინანსებლად.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მაისის თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 2161961 ლარი, რაც წლიური გეგმის 37.7 %-ს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 550403 ლარი; შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით მიღებულია 1611558 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 34.7 %, მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 1250667 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 300916 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 40.8%, აქედან ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 281737 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 38.4 %.

2026 წლის მაისის თვეში გაწეული იქნა 2808694 ლარის ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 789358 ლარი, რაც თვეში გაწეული ხარჯების 28.1%-ს შეადგენს, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 974794 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -364825 ლარი და ტრანსპორტის მომსახურების ხარჯზე მიმართულია 252790 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 441453 ლარი, საიდანაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიმართულია 432422 ლარის ფარგლებში. სუბსიდიის მუხლით გაიხარჯა 104085 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე მიმართულია 138443 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლების

გეგმის შესრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულები სრულად არის დაფინანსებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** დაინტერესდა, რა ეტაპზეა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარის ირაკლი ბრეგვაძის წერილი, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ ვალოდია გოგუაძის საპატივცემულოდ, მის მშობლიურ ლანჩხუთში აღიმართოს ძეგლი ან ბიუსტი და მისი სახელი მიენიჭოს ქალაქის სკვერს და ქუჩას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ვალოდია გოგუაძე იყო მართლაც ღირსეული და მნიშვნელოვანი პიროვნება, მაგრამ ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით საკრებულო და მერია ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, მოსახლეობასთან შეთანხმების გარეშე. მისი მოსაზრებაა, რომ პირველი ეტაპისთვის მუშაობა დაიწყონ ამ ღვაწლმოსილი პიროვნების ბიუსტის დასადგმელად, რაზეც ახლო წარსულში იყო საუბარი და ბიუროს წევრებიც დაეთანხმნენ.

საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ **დარეჯან ბურჭულაძემ** და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნეს, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ლანჩხუთში, ურუშაძის ქუჩაზე დაზიანებულია კანალიზაციის მილი, უხვი ნალექის დროს ვერ ატარებს ნაკადს, გუბდება და ფეკალიები იღვრება ქუჩაში, რაც ქმნის ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას. ამ საკითხის მოგვარების მიზნით მათ მოითხოვეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელი პირების დაბარება. ასევე ითხოვეს კუპრეიშვილის ქუჩაზე, ახალი ასფალტის საფარის დაგებამდე, დაზიანებული უბნების ხრეშით ამოვსება, დაინტერესდნენ ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლის ორგანიზების საკითხით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ძლიერი წვიმის შედეგად დაიტბორა ათზე მეტი სახლი, საკარმიდამო ნაკვეთები, დაზიანდა ნარგავები, ჩამოირეცხა გზები და გაიჭედა სანიაღვრე არხები, თითქოს მეწყრული პროცესები დაიწყო ჩქუნში, რაც ქმნის რთულ მდგომარეობას. მან სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულთან ერთად მოამზადა წერილი, რომელსაც გააგზავნიან საგზაო დეპარტამენტში, რათა გაწმინდონ ხიდმაღალაზე, მათ დაქვემდებარებაში არსებული სანიაღვრე არხები, რათა ამის რესურსი მუნიციპალიტეტს არ გააჩნია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ხაჯალიაზე გასაწმენდია სანიაღვრე არხები და ჩასატარებელია ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

ურუშაძის ქუჩაზე დაზიანებული კანალიზაციის მილის პრობლემა ვერ

მოგვარდება მანამ, სანამ არ მოეწყობა ახალი შემკრები სისტემა, რაც საკმაო თანხებთან არის დაკავშირებული და ახლო მომავალში ვერ მოგვარდება.

ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლის სამუშაოებს უზრუნველყოფს სპეციალურად, ქვეყნის მასშტაბით შექმნილი სამსახური, რომელიც ასევე ახორციელებს მონიტორინგს ჩატარებულ სამუშაოებზე. მისი თქმით, ამ საქმიანობაში გარკვეულ წილად მოსახლეობაც უნდა იყოს ჩართული, რადგან მხოლოდ სახელმწიფო ვერ მოერევა.

უხვი ნალექის დროს წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად აქტიურად მუშაობენ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, მაგრამ დიდი მაშტაბების გამო ჭირს ყველგან დროულად მისვლა, რის გამოც არის შემთხვევები, როცა მოსახლეობას საკუთარი ძალებით უხდება სტიქიასთან გამკლავება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი